ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4311204

ნომერი: AR1649571

თარიღი : 14.12.2018

გაცემის თარიღი : 19.12.2018

გაცნობის თარიღი : 20.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება საქნავთობი , ქუჩა ჭირნახული;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბრეგვაძე პ/ნ 01017009554
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 37

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ქოჩკაბლო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404547996
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ისმაილ ქოჩ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: U 05250289

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2814.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 228.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1066.8

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 990.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 76.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.95
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები. -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: აღნიშნული ნიშნული დატანილ იქნას ჭრილის ნახაზზე.

2.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : ველში უნდა აიტვირთოს სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი რომელიც მოიცავს : განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას; ასევე მოიცავს სადემონტაჟო შენობების აზომვით ნახაზებს (სრული შემადგენლობით: გეგმები, ფასადები და ჭრილები,) რომელიც დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ის მიერ.
ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედის ფიქსაციით, ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათები.

3.საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა : ვინაიდან სადემონტაჟო შენობის მომიჯნავედ ფიქსირდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთზებზე არსებული შენობა-ნაგებობაბი (ს./კ. N 01.19.14.004.213 და ს./კ. N 01.19.14.004.222), საჭიროა წარმოდგენილ იქნას კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების (მომიჯნავე საკადასტრო ერთეულების და მისამართის დაფიქსირებით) არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ სპეციალისტის მონაცემები; იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე."

4.წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია. საჭიროა ძალაში მყოფი მინდობილობის წარმოდგენა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.